სააქციო საზოგადოება კავკასრეესტრი

0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71,
მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.
ტელ: (+995) 32-2 500 211
ელ.ფოსტა: info@kavkasreestri.ge

J.S.C. KAVKASREESTRI

Floor 7, Block 10, 71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
Phone: (+995) 32-2 500 211
E-mail: info@kavkasreestri.ge

№75-22,
09.11.2022 წ.

სს „კავკასრეესტრის“ აქციონერებს

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს ზაალ ზაქარაშვილის (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47, ტელეფონი: 595 07 52 44) მიერ გაცემული სანოტარო აქტიდან (რეგისტრაციის N 221534844, 09.11.2022 წ., წინამდებარე შეტყობინებას თან ერთვის) გამომდინარე, 2022 წლის 30 ნოემბერს, 12:00 საათზე განმეორებით ჩატარდება სს „კავკასრეესტრის“ (ს/ნ 211369115, იურიდიული მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N74ა) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სს „კავკასრეესტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2022 წლის 9 ნოემბერი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

კრების ჩატარებამდე ყოველ სამუშაო დღეს, 10:00-დან 17:00 საათამდე, სს „კავკასრეესტრის“ აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს თავად სს „კავკასრეესტრი“, შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება, რისთვისაც თან უნდა იქონიოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

- აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით;
- წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ;
- საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის პრინციპით;
- სს „კავკასრეესტრის“ ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

2022 წლის 30 ნოემბერს, 11:30 საათიდან 12:00 საათამდე ხმის უფლების მქონე აქციონერებმა/აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა პირადად უნდა გაიარონ რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად, რისთვისაც თან უნდა იქონიონ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

კრება ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.

კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დამატებით შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაცია ტელეფონით ჩემთან (მობილური ტელეფონის ნომერი: 570 10 70 08).

პატივისცემით,

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

დანართი N1

რეკომენდაციები სს "კავკასრეესტრის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით

რეკომენდაცია:

ა) დაკმაყოფილდეს გიორგი ფარესიშვილის (პ/ნ 01024002732) განცხადება სს „კავკასრეესტრის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან გასვლისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციის დატოვების შესახებ.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების: თემურ ირემაშვილის (პ/ნ 01019016082), გიორგი ფარესიშვილის (პ/ნ 01024002732) და ნატო ხაინდრავას (პ/ნ 01003011336) ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად 3 წლის ვადით არჩეულ იქნენ შემდეგი ახალი წევრები: თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088), მერი ჩაჩანიძე (პ/ნ 11001007323) და ოთარ შარიქაძე (პ/ნ 01024019905).

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46715193261822

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ დადგენილების გაცემა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221534844

რეგისტრაციის თარიღი

09.11.2022 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
დადგენილება სანოტარო მოქმედებაზე უარის თქმის შესახებ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი 09.11.2022 წელი

ორი ათას ოცდაორი **წლის ოცდათერთმეტ ოქტომბერს** მე, ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი , რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, **სს „კავკასრეესტრის“ (ს/ნ 211369115) დირექტორის თამაზ ხიზანიშვილის მოთხოვნით (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 66-ე მუხლის თანახმად) დავესწარი** სს „კავკასრეესტრის“ (ს/ნ 211369115) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას , **რომელიც ჩატარდა** ონლაინ რეჟიმში შემდეგი დღის წესრიგით :

1. დაკმაყოფილდეს გიორგი ფარესიშვილის პ/ნ 01024002732 განცხადება სს „კავკასრეესტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან გასვლისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილის პოზიციის დატოვების შესახებ.
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად 3 წლის ვადით არჩეულ იქნენ : თეა ჯოხაძე პ/ნ 01009003088 , მერი ჩაჩანიძე პ/ნ 11001007323 და ოთარ შარიქაძე პ/ნ 01024019905;

კრება ჩატარდა აპლიკაცია ZOOM-ის გამოყენებით. კრებაზე აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყო 11:00 საათზე, ხოლო კრება დაიწყო 12:00 საათზე.

ონლაინ რეჟიმში რეგისტრაცია (პირდობის დამდგენი დოკუმენტის პირდაპირ ეთერში წარმოდგენით) გაიარეს შემდეგმა პირებმა :

1) **თამაზ ხიზანიშვილმა (დაბ:15.07.1958 წ. დაბ.ადგილი : თეთრიწყარო მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 2ა, ბინა 24 -ში** პ/ნ 01025003399) , როგორც სს „კავკასრეესტრი“ს (ს/ნ 211369115) დირექტორმა; უფლებამოსილება დადგენილია თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების ნომერი B20029931

2) სს „გალტ ენდ თაგარტი“-ს /ნ 211359206 გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი კირტავამ (დაბ:10.01.1963 წ. დაბ.ადგილი : ქუთაისი , მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 8, ბინა 7-ში** პ/ნ **01024000443)** სახით . უფლებამოსილება დადგენილია თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების ნომერი : B22003532

3) სს „ საქართველოს საფორდო ბირჟა “ს/ნ 211382145 გენერალურმა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ნინო ქურდიანმა (დაბ:24.07.1982 წ. დაბ.ადგილი : თბილისი, მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 18-ში** პ/ნ 01025010555) . უფლებამოსილება დადგენილია თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების ნომერი : B22111559

4) სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ (ს/ნ 205116943) მინდობილმა პირმა **სულხან ჯაყელიძემ (დაბ:04.04.1993 წ. დაბ.ადგილი : ხელვაჩაური, შარაბიძეები , მისამართი : ხელვაჩაური ს. შარაბიძეები მე–10 ქ. N 4-ში** პ/ნ 61006073471). (მინდობილობა გაცემული 31.10.2022 წ. გ. ლოლაძის მიერ)

5) შპს სკ „ქართუ ბროკერი“ ს/ნ 204929970 წარმოდგენელმა დირექტორმა გიორგი ნასიბაშვილიმა (დაბ:12.05.1964 წ. დაბ.ადგილი : თბილისი , მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 55, ბინა 14-ში პ/ნ 01008008819) სახით .

6) მერაბი ვარდიაშვილი (დაბ:01.09.1959 წ. დაბ.ადგილი : სიღნაღი, მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19-ში პ/ნ 01006006829)

7) მოწმე , - მაკა გაჩეჩილაძე (დაბ:05.09.1971 წ. დაბ.ადგილი : ქუთაისი, მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 205-ში პ/ნ **01025005964),** რომელიც იმყოფებოდა ჩემს სანოტარო ბიუროში.

8) ნინო სამხარაული (დაბ : 02.02.1985 წ. დაბ.ადგილი : ყვარელი , მისამართი : თბილისი სიმონ ჩიქოვანის ქ. N 4ბ ბ. 9-ში პ/ნ 45001005434)

მე დავადგინე მათი პირადობა , მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამგდენი დოკუმენტებით , ასევე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და ვაცხადებ , რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია.
სს კავკასრეესტრის დირექტორის თამაზ ხიზანიშვილის განცხადებით მიმდინარეობდა კრების აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

კრების მიმდინარეობის დროს აქციონერმა მერაბ ვარდიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული კრება არ არის უფლებამოსილი ორი მიზეზის გამო:

1. არსებობს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება (მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი, საქმე N 2/22900-2015, 31 ოქტომბერი 2016 წელი), რომლის თანახმად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის პირველი ოქტომბრის N ბ15156350/13, 2015 წლის პირველი ოქტომბრის N ბ15156350/14 და 2015 წლის 30 ნოემბრის N 287973 გადაწყვეტილებები. შესაბამისად სს კავკასრეესტრის ამჟამინდელი სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი უკანონოდ იკავებდნენ პოზიციებს.
2. სს კავკასრეესტრის ამონაწერში ფიქსირდება აკრძალვა საერთო კრების მოწვევაზე აკრძალვა:

სს კავკასრეესტრის ამონაწერში ფიქსირდება საერთო კრების მოწვევაზე აკრძალვა: 102020052334 10/02/2020 17:39:46

სს კავკასრეესტრი ს/ნ 211369115

საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, აეკრძალოს საერთო კრების

მოწვევა სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრებთან ნებისმიერი დღის

წესრიგით, მათ შორის: წესდების ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოსთან

დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევა, სამეთვალყურეო

საბჭოს წევრების ცვლილება, სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება,

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების

არჩევის ვადის ცვლილება

საფუძველი: განჩინება, N2/22900-15, 07.02.2020, თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

რეგისტრაციის აკრძალვა: 102020129735 07/04/2020 15:05:55

სს კავკასრეესტრი ს/ნ 211369115

საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, აეკრძალოს სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნულ სააგენტოს დავის გადაწყვეტამდე სს კავკასრეესტრი-ს (ს/ნ 211369115)

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ნებისმიერი

ცვლილების რეგისტრაცია

საფუძველი: განჩინება, N3/2472-20, 02.04.2020, თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

3. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით - კერძოდ 194-ე მუხლის თანახმად „წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ , არამედ ამ ფორმასთან ერთად ან/მის ნაცვლად გამოყენებული იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები". ვინაიდან სს კავკასრეესტრის წესდებაში ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით საერთო კრების ჩატარებაზე არაფერია ნათქვამი, მიმდინარე კრების „ონლაინ რეჟიმში" ჩატარება კანონსაწინააღმდეგოა.

ჩემს ნოტარიუსის მიერ შესწავლილი იქნა მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია- კერძოდ სს კავკასრეესტრის ამონაწერი და წესდება და დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოება :

1. სს კავკასრეესტრის მეწარმეთა და არასამეწარემოი იურიდიული პირების ამონაწერში (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20083656, 16/10/2020 14:10:26) ფიქსირდება შემდეგი შეზღუდვა: 102020052334 10/02/2020 17:39:46

სს კავკასრეესტრი ს/ნ 211369115

საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, აეკრძალოს საერთო კრების

მოწვევა სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის წევრებთან ნებისმიერი დღის

წესრიგით, მათ შორის: წესდების ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოსთან

დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევა, სამეთვალყურეო

საბჭოს წევრების ცვლილება, სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება,

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების

არჩევის ვადის ცვლილება

საფუძველი: განჩინება, N2/22900-15, 07.02.2020, თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

რეგისტრაციის აკრძალვა: 102020129735 07/04/2020 15:05:55

სს კავკასრეესტრი ს/ნ 211369115

საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, აეკრძალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დავის გადაწყვეტამდე სს კავკასრეესტრი-ს (ს/ნ 211369115) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაცია

საფუძველი: განჩინება, N3/2472-20, 02.04.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი

2. სს კავკასრეესტრის წესდება არ ითვალისწინებს საერთო კრების ჩატარებას ელექტრონული კომუნიკაციის (ელექტრონული ფორმით) გამოყენებით ჩატარებას.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მერვე მუხლი განსაზღვრავს ნოტარიუსის ვალდებულებას არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მორალს და/ან საჯარო წესრიგს;

საქარველოს კანონი ნოტარიატის შესახებ 52 მუხლის შესაბამისად 1. ნოტარიუსი და ამ კანონის 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ: ა) სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N 71 ბრძანებით „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" მე-9 მუხლით, ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე

უარი ეთქვას **სს კავკასრეესტრის დირექტორს თამაზ ხიზანიშვილს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე კერძოდ** სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების ოქმის დამოწმება შემდეგი საფუძვლებით:

1. სს კავკასრეესტრის მეწარმეთა და არასამეწარემოი იურიდიული პირების ამონაწერში (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20083656, 16/10/2020 14:10:26) ფიქსირდება შეზღუდვა.
2. სს კავკასრეესტრის წესდება არ ითვალისწინებს საერთო კრების ჩატარებას ელექტრონული კომუნიკაციის (ელექტრონული ფორმით) გამოყენებით ჩატარებას.

აღნიშნული დადგენილება შედგენილია 2 /ორი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მხარეს.

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობის მიხედვით სასამართლოში დადგენილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში.

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი

[redacted]



[redacted]